



Our school our diversity

your story in 60 seconds

ეროვნული უმცირესობების საკითხებზე ეუთოს უმაღლესი
კომისარი
აცხადებს ვიდეო კონკურსს

ჩვენი სკოლა, ჩვენი მრავალფეროვნება: შენი ისტორია 60 წამში

სკოლის ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის. კონკურსის მიზანია ეუუკ-ის პირველი რეკომენდაციების 20 წლისთავთან დაკავშირებით კონფლიქტის პრევენციაში განათლების როლის შესახებ ცნობიერების ამაღლება. რეკომენდაციები ეხება ეროვნული უმცირესობების განათლების უფლებას.

გაგვიზიარეთ თქვენი ისტორია 60 წამიანი ვიდეოების საშუალებით და დაგვეხმარეთ კონფლიქტის მოგვარებაში განათლების როლის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში.

სამი საუკეთესო ვიდეო დაჯილდოვდება პრიზებით და ასევე ნაჩვენები იქნება 20-21 აპრილს ჰააგაში, ნიდერლანდებში გამართულ ღონისძიებაზე, რომელიც ეძღვნება ჰააგის რეკომენდაციების 20 წლისთავს. წარმოდგენილი ვიდეოები ასევე აიტვირთება ეუთო ეუუკ-ის ვებ გვერდზე და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების გვერდებზე.

ვინ: ეროვნული უმცირესობების საკითხებზე ეუთოს უმაღლესი კომისარი წარმოადგენს დამოუკიდებელ ინსტიტუტს, რომელიც დაარსდა 1992 წელს. მისი მანდატი ითვალისწინებს ადრეულ შეტყობინებასა და ადრეულ ქმედებას, იმ შემთხვევებში, სადაც ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული დამაბულობა შეიძლება სახელმწიფოებში და სახელმწიფოებს შორის კონფლიქტში გადაიზარდოს.

რა: ჩაწერეთ მაქსიმუმ ერთ წუთიანი ვიდეო კლიპი, რომელშიც მოგვითხრობთ თქვენს სკოლაში მრავალფეროვნების შესახებ. დღევანდელი მსოფლიო სულ უფრო მეტად მრავალენოვანი და მულტიკულტურულია. როგორ ხედავთ ამ სამყაროს თქვენ და თქვენი სკოლის მეგობრები? რა როლს ასრულებს განათლება მასში? კულტურულად რამდენად მრავალფეროვანია თქვენი სკოლა და რა გამოცდილებას იღებთ თქვენ? აქცევს თუ – არა განათლება მრავალფეროვნებას შესაძლებლობად?

როდის: 4-31 მარტი, 2016, 23:59 ცენტრალური ევროპის დროით (CET)

მონაწილეობა: 12-18 წლის ახალგაზრდები ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფის სახით.

პრიზები: ეროვნული უმცირესობების საკითხებზე ეუთოს უმაღლესი კომისარი დააჯილდოებს სამი ვიდეოს ავტორს/ებს. პირველ ადგილზე გასული ვიდეოს ავტორი მიიღებს ვიდეო კამერას, მეორე ადგილზე გასული ვიდეოს ავტორი – პლანშეტს, მესამე ადგილზე გასული ვიდეოს ავტორი – ზურგჩანთას მზის პანელით.

როგორ: ვიდეოები შეიძლება გადაიღოთ მობილური ტელეფონით ან ნებისმიერი სხვა მოწყობილობით, სასურველია ჰორიზონტალურად (landscape dimension). ფილმი არ უნდა იყოს 1 წუთზე მეტი ხანგრძლივობის!

ენა: ენა არ არის ბარიერი. ვიდეო შეიძლება ნებისმიერ ენაზე/ენებზე ჩაიწეროს, მაგრამ გასაგები უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელიც ამ ენაზე/ენებზე არ საუბრობს. მივესალმებით ვიდეო კლიპებს, რომლებშიც გამოყენებულია ვიზუალური ენა, მუსიკა, ხმები ან სხვა კარგი იდეები.

წარდგენა: videocontest@osce.org წარმოადგინეთ თქვენი მაქსიმუმ 1 წუთიანი ვიდეო:

- **ელ-ფოსტა:** (არ გამოგზავნოთ ვიდეო ფაილი მეილის საშუალებით; გამოგზავნეთ ის ბმული, სადაც ვიდეოა ატვირთული, მაგ: Dropbox, WeTransfer, MEGA or TransferBigFiles)
- **Whatsapp:** Our School, Our Diversity ნომერზე +31641644344
- **Viber App:** Our School, Our Diversity ნომერზე +31641644344
- **Line App:** Our School, Our Diversity ნომერზე +31641644344

ვიდეოსთან ერთად გამოგზავნეთ შემდეგი ინფორმაცია:

- სრული სახელი
- დაბადების თარიღი
- ელ-ფოსტის მისამართი
- ტელეფონის ნომერი
- პირადი ან ჯგუფური ფოტო
- ქვეყანა, ქალაქი და სკოლის სახელი

გთხოვთ, ვიდეოს ორიგინალი ფაილი შეინახოთ. თუკი თქვენი ვიდეო შერჩეული იქნება, დაგიკავშირდებით ორიგინალი ფაილის ტრანსფერის შესახებ დეტალებით.

პირობები: ყველა მონაწილე ეთანხმება და ყველა წარმოდგენილ ვიდეოზე ვრცელდება კონკურსის შემდეგი პირობები www.osce.org/hcnm/225526

შეტყობინება: კონკურსის ჟიური განიხილავს ყველა ვიდეოს და გამარჯვებულ ავტორებს დაუკავშირდება 2016 წლის 15 აპრილამდე ელ. ფოსტის საშუალებით.

ვებგვერდი: www.osce.org/our-school-our-diversity

ჰააგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით ხელს უწყობს ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვას განათლების სფეროში, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობას და განათლების როლის, როგორც საზოგადოების ინტეგრაციის საშუალების, პოპულარიზაციას.

‘განათლების აუცილებლობა მხოლოდ იმაში კი არ მდგომარეობს, რომ წმინდა აკადემიური ან ტექნიკური ცოდნა შესძინოს ადამიანს, არამედ ისეთი ღირებულებების დამკვიდრებაშიც, როგორებიცაა შემწყნარებლობა, პლურალიზმი, ანტირასიზმი და ჰარმონია, როგორც საერთაშორისო დონეზე, ისე მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის ურთიერთობაში’. (ეუუკ-ის ჰააგის რეკომენდაციები)